ვიზუალური პოლიტიკის კვლევის ეთიკური პრინციპები

ვაჟა გურგენიძე
სტუ-ს პროფესორი,
სოციალურ მეცნიერების კვლევის
ლაბორატორიის ხელმძღვანელი

ნათელა გედენიძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

წინამდებარე სამეცნიერო სტატიაში ავტორები იხილავენ ვიზუალური პოლიტიკის კვლევის ეთიკურ პრინციპებს, კერძოდ, როგორი უნდა იყოს ვიზუალური პოლიტიკის ეთიკა, კვლევის ვიზუალური პოლიტიკის ეთიკური პრინციპების ანალიზი, ევოლუციურად როგორ ჩამოყალიბდა ვიზუალური პოლიტიკის ძირითად ეთიკური პრინციპები. გარდა ამისა ძირითადი აქცენტები გაკეთდება შემდეგ საკითხებზე:

- რას ნიშნავს პროფესიულია ვიზუალური პოლიტიკის ეთიკა,
- რატომ არის აუცილებელი ვიზუალური პოლიტიკის ეთიკის პრინციპებისა და მოთხოვნების დაცვა,
- რატომ უნდა დაიცვას და გაითვალისწინოს ვიზუალური პოლიტიკის ეთიკის მოთხოვნები მკვლევარმა.

სტატიის კონტექსტში განხილული იქნება ეთიკის, როგორც სოციალური პოლიტიკის ზოგადი დახასიათება და მოცემული იქნება თემაზე არსებული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

საკვანძო სიტყვები: პროფესიული ეთიკა; ვიზუალური პოლიტიკა; ვიზუალის აღქმის ეთიკა; ვიზუალური გამოსახულებები; ეთიკის პრინციპები; კითხვარის პრეამბულა; მორალური კოდექსი; ეთიკური მოთხოვნები.

ETHICAL PRINCIPLES OF VISUAL POLICY RESEARCH

Vaja Gurgenidze
Professor of GTU
Natela Gedenidze
Phd student of GTU

RESUME

In this scientific article, the authors will see the ethical principles of visual policy research, in particular, what should be the ethics of visual policy, the analysis of the ethical principles of visual policy research, and how the basic ethical principles of visual policy were evolved. In addition, the main emphasis will be placed on the following issues:

- What does professional ethics of visual politics mean,
- Why is it necessary to observe the principles and requirements of ethics of visual policy,
- Why the researcher should follow and take into account the ethical requirements of the visual policy. In the context of the article, the general characterization of ethics as a social policy will be discussed and a brief overview of the existing literature on the topic will be given.

Key words: professional ethics; visual politics; Ethics of visual perception; visual images; principles of ethics; preamble to the questionnaire; moral code; Ethical requirements.

* * * *

წარმოდგენილ სტატიაში ჩვენ შევეხებით ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა: ვიზუალური ეთიკის ძირითადი ცნება, კვლევის ვიზუალური პოლიტიკის ეთიკური პრინციპები, როგორ ჩამოყალიბდა ვიზუალური პოლიტიკის ძირითადი ეთიკური პრინციპები; რას ნიშნავს პროფესიული ეთიკა მოცემულ შემთხვევაში? რატომ არის აუცილებელი პროფესიული ეთიკის პრინციპებისა და მოთხოვნების დაცვა; რატომ უნდა დავიცვათ და გავითვალისწინოთ ეთიკური მოთხოვნები. სტატიის კონტექსტში აუცილებლად მიგვაჩნია ეთიკის, როგორც სოციალური პარადიგმის ზოგადი დახასიათება.

როგორც ცნობილია, ეთიკა არის მეცნიერება ზნეობის, მორალის შესახებ. ტერმინი „ეთიკა“ პირველად გამოიყენა არისტოტელემ, რომელმაც ზნეობის საკითხებს მიუძღვნა სპეციალური ნაშრომები: „ნიკო მაქეს ეთიკა“ და „დიდი ეთიკა“.

ზნეობა საზოგადოებრივი მოვლენაა. ის წარმოადგენს პრინციპებისა და ნორმების ერთობლიობას, რომელიც არეგულირებს და აწესრიგებს ადამიანის ქცევას, ადამიანთა შორის ურთიერთობას, მის დამოკიდებულებას ბუნებასა და კულტურასთან, იგი შეიცავს ღირებულებებსა და იდეალებს, რომელთა საფუძველზე აყალიბებს ქცევის ნორმებს. ზნეობრივად ზოგი რამ ნებადართულია, ზოგი კი-სასტიკად დაგმობილი. ზნეობით ვლინდება განსხვავება სიკეთესა და ბოროტებას შორის. ყოველივე ეს ზედმიწევნით არის გაანალიზებული და ჩამოყალიბებული დიდი ფილოსოფოსების- არისტოტელეს, პლატონის, ჰეგელის, კანტის ნაშრომებში.

პლატონის ეთიკა, ქართველი ფილოსოფოსის, ს. ნერეთელის თანახმად, არის მოძღვრება უმაღლესი სიკეთის ინდივიდის მოქმედებაში განხორციელებული სიკეთისა და საზოგადოებაში განხორციელებული სიკეთის შესახებ. „პლატონი როგორც „ფილებოსში,“ ისე „კანონებში“ სათნოებით აღსავსე ცხოვრებას ქა-

დაგებს; როგორც ჯანმრთელობა არის სხეულის სათნოება, ისე სათნოება არის სულის ჯანმრთელობა," - ვკითხულობთ ტექსტში.[1]

კანტი ეთიკაზე საუბრის დასაწყისშივე, ცდილობს დემარკაციის ხაზი გაავლოს, თუ რომელ სფეროში უნდა იქნეს ეთიკა განხილული და რომელ სფეროშია შესაძლებელი ეთიკაზე ცოდნის მიღება. მის შეხედულებებს დღევანდელ დღემდე დიდი გავლენა აქვთ მეტაფიზიკაზე, ეპისტემოლოგიაზე, ეთიკაზე, პოლიტიკურ თეორიასა და ესთეტიკაზე.[2]

გერმანელი ფილოსოფოსის გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის აზრით, სოციალური ეთიკა შედგება სამი კომპონენტისგან: ოჯახი, საზოგადოება და სახელმწიფო.[3]

ზოგადად ეთიკა ფილოსოფიის განუყოფელი ნაწილია. ეთიკას მჭიდრო ურთიერთობა გააჩნია პოლიტიკასთან, პოლიტიკურ მეცნიერებასთან, რელიგიასთან და რაც მთავარია ამ შემთხვევაში ხელოვნებასთან. ვინაიდან ეთიკა ზნეობრივ ნორმებს შეისწავლის, ამ აზრით იგი ნორმატიული მეცნიერებაა, მაგრამ ეთიკის მეცნიერება თვითონ კი არ ადგენს ზნეობრივ ნორმებს, არამედ იკვლევს უკვე არსებულ ზნეობრივ ნორმებს, მათ ხასიათს, განვითარების პერსპექტივებს და მოცემულ შემთხვევაში ვიზუალის პრობლემას.

ამგვარად, მეცნიერული მეთოდოლოგიით შეიარაღებული ეთიკა იკვლევს ვიზუალის ზნეობრივ ნორმათა სისტემას, მორალურ კოდექსს და ამ ნორმათა გენეზისს.

ეთიკა, როგორც მეცნიერება ერთდროულად არის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხასიათის. ეთიკის ცოდნათა სისტემა შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად: 1. მოძღვრება თანამედროვე საზოგადოების მორალურ კოდექსზე - სიკეთესა და ბოროტებაზე, სათნოებასა და მანკიერებაზე - ეს არის ეთიკის ნორმატიული, პრაქტიკული ნაწილი, 2. მოძღვრება ზნეობრივ ნორმათა წარმოშობასა და განვითარების კანონზომიერებაზე. ეს არის ეთიკის ისტორიული და სოციოლოგიური ნაწილი; 3. მოძღვრება ზნეობის არსზე, ხასიათსა და მნიშვნელობაზე - ეს არის ეთიკის თეორიული, ფილოსოფიური ნაწილი

ეთიკა ეფუძნება თავის ძირითად პოსტულატებს. ეთიკის უმაღლესი მიზანია- ადამიანთა ბედნიერება და კეთილდღეობა, ხოლო ყველა დანარჩენი ეთიკური მცნებები არის მიზნის მიღწევის საშუალებები. ესენია: სიკეთე, ქველმოქმედება, სამართლიანობა, სინდისი, ღირსება. ამ კონტექსტში ვიზუალური პოლიტიკის ეთიკა იძენს დიდ მნიშვნელობას და აქტუალობას.

სიკეთე- ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცნებაა. პლატონის ეთიკაში და ზოგადად ბერძნულ ეთიკაში სიკეთე მოიაზრებოდა, როგორც ფართო ცნება, ის მოიცავდა როგორც ქველმოქმედებას, სასარგებლო მოქმედებას. ამ კონტექსტში ვიზუალს გააჩნია ძალიან მნიშვნელოვანი დატვირთვა.

ქველმოქმედება- ეთიკის ასევე ერთ-ერთი ძირეული ცნებაა, რადგან ის არის ამაღლებული და დადებით ადამიანური თვისება. ქველმოქმედების თვალსაზრისით ადამიანები შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დაიყოს: ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ და ზრუნავენ მთელ საზოგადოებაზე; ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ და ზრუნავენ და ადამიანთა რომელიმე ჯგუფზე, ან ერთ ადამიანზე. ასევე ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ და ზრუნავენ მთელ კაცობრიობაზე.

სამართლიანობა - ეთიკის ერთ-ერთი ცნებაა. სამართლიანობის გამოვლინების ფორმებია: ობიექტურობა, მიუკერძოებლობა, სამართლიანობა ებრძვის სიყალბეს და სიცრუეს, ემსახურება ნდობას, ურთიერთობის და მეგობრობის დამყარებას და ხელს უწყობს ხელს საზოგადოების კეთილდღეობას. ამ შემთხვევაშიც, ვიზუალი ძალიან ეფექტურად ასრულებს თავის ფუნქციას. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ პოსტულატებსაც ემსახურება ვიზუალური პოლიტიკის ეთიკური ნორმები.

სინდისი- არის კრიტიკის თავისებური ფორმა, ანუ სუბიექტის მიერ თავისი მოქმედებების კრიტიკა; სინდისი ამართლებს და სასჯელი გამოაქვს საკუთარ თავს. სინდისის პარადიგმაც პირდაპირ კავშირშია მოცემულ პრობლემასთან, კერძოდ ვიზუალთან. ეს არის ადამიანობის გამოვლენის ისეთი უმაღლესი ფორმა, რომლის მოსყიდვაც შეუძლებელია. სინდისის კრიტერიუმი შინაგანი და შეუმჩნეველია. სინდისის ქენჯნის გრძნობა- სირცხვილის შეგრძნება.

ღირსება - ერთ-ერთი ძირითადი ვიზუალის ეთიკური კატეგორიაა. ღირსეული ზნეობრივი მოქმედება ეწოდება ისეთ მოქმედებას, რომელიც დაკავშირებულია რაიმე სირთულესთან, დაბრკოლებასთან და მოითხოვს ადამიანის ნებისყოფის, მისი სულიერი და ფიზიკური ძალების დაძაბვას. ეს მოქმედება თუ ხშირად მეორდება, ისეთ ადამიანს ეწოდება ღირსეული.

სინდისი და ღირსება ასევე წარმოადგენენ ვიზუალური პოლიტიკის ეთიკის უმნიშვნელოვანეს ატრიბუტს.

<u>ვიზუალის პროფესიული ეთიკა</u> წარმოადგენს საკმაოდ მნიშვნელოვან პარადიგმას. პრაქტიკულ საქმიანობაში ადამიანები ხელმძღვანელობენ ვიზუალის ეთიკის სხვადასხვა ნორმებით: სოციალური სტანდარტებით, რომელთა მიხედვით მიუღებლად ითვლება გარკვეული ტიპის ქცევა; კორპორატიული ღირებულების სისტემით, რომელიც დეტალურად არის გაწერილი და განსაზღვრული ქცევის წესები მოცემულ ორგანიზაციაში; პროფესიული ორგანიზაციების ღირებულებათა სისტემით (პოლიტიკური ინსტიტუტები, ეკონომიკური სტრუქტურები, სამედიცინო პერსონალი, აკადემიური წრეები, პედაგოგიური კოლექტივები); ოჯახის, კულტურის და რელიგიის მორალურ-ზნეობრივი ტრადიციებით და წესებით. აღნიშნული ნორმები გარკვეულწილად განსხვავდებიან ადამიანთა

1 წერეთელი, ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, 369
2 იმანუელ კანტი- ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება. თბილისი 2013წ
3 https://ka.warbletoncouncil.org/etica-social-2593

სავალდებულო ნორმებისაგან, რასაც განაპირობებენ სამართლებრივი ნორმები, კანონები, ინსტრუქციები. ხოლო ზემოთ მოცემული ვიზუალის ეთიკის ნორმები უფრო ფართოა და როგორც წესი, ატარებენ არაოფიციალურ ხასიათს და არა აქვთ იძულების თვისება. ზოგ შემთხვევაში ეთიკური ნორმები გამყარებულია კანონით. კანონით გამყარებული ეთიკური ნორმები კი ასევე წარმოადგენს ჩვენი კვლევის ობიექტს. მაგალითად: „არ იპარო“ - ეთიკური ნორმაა, რომელიც კანონით არის გამყარებული. იქურდებ-დაგაპატიმრებენ.

კვლევების ვიზუალის ეთიკის ძირითადი პრინციპები და ნორმები ჩვენ უნდა გავიგოთ შემდეგნაირად: მიგვაჩნია, რომ ვიზუალს ახასიათებს შესაბამისი პრინციპები და ნორმები, კერძოდ: რესპონდენტის ნდობის აუცილებლობა მკვლევრის მიმართ, მკვლევრის ვალდებულება ეთიკის პრინციპების დაცვის მიმართ, ზნეობრივი და მორალური ღირებულებების: პატიოსნება; ობიექტურობა; მზრუნველობა; ინტელექტუალური საკუთრების მიმართ პატივისცემა; კოლეგების მიმართ პატივისცემა; სოციალური პასუხისმგებლობა; ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის მიმართ დაუშვებლობა; კანონიერება, სამართლიანობა;

კვლევების ძირითად ეთიკური პრინციპები ვიზუალის თვალსაზრისით უნდა ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად: ნებაყოფლობითი მონაწილეობა კვლევაში/ ინფორმირებული თანხმობა, რომელიც პირდაპირ ასახავს ვიზუალის აღქმის პრობლემატიკას. ვიზუალის კვლევის ეთიკის პირველი პრინციპი მოითხოვს რესპონდენტთა ნებაყოფლობით მონაწილეობას კვლევაში მათთვის რაიმე სახის რისკის ან დაზიანების მიყენების გარეშე. ასევე რესპონდენტის კვლევაში საქმიანობის ფინანსირებას, რათა არ დაირღვეს კვლების ვალიდურობა. ანონიმურობა და კონფიდენციალურობა ყველა რესპონდენტისათვის;

მორალური წესების და პროფესიული კოდების ერთობლიობა, რომლითაც სოციოლოგიურ კვლევაში ხელმძღვანელობენ და ინფორმაციის შეგროვების, ანალიზის, წარდგენის და პუბლიკაციის პროცესში, რომელიც ყურადღებას ამახვილებს კონფიდენციალურობის დაცვაზე. ამას თან ახლავს კვლევის ობიექტის უფლება უარი თქვას მონაცემების მიწოდებასა თუ პირადი აზრის გამოთქმაზე.[4]

„არც თქვენი და არც თქვენი კომპანიის სახელი არ იქნება დაკავშირებული თქვენს პასუხებთან. თქვენი ნებართვის გარეშე თქვენი საკონტაქტო მონაცემი და ყველა თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია დაცული იქნება მკაცრად საიდუმლოდ“. ასეთი პრეამბულა ერთი მხრივ, ხელს უწყობს რესპონდენტის კვლევისადმი ნდობის ამაღლებას, ხოლო მეორე მხრივ, ადასტურებს მკვლევრის პასუხისმგებლობას დაიცვას რესპონდენტთა ანონიმურობა და კონფიდენციალურობა. მოლაპარაკება კვლევის ჩატარების მისაღებად; მოლაპარაკება შეიძლება განხორციელდეს: ორგანიზაციასთან, კომპანიასთან, ფიზიკურ პირთან, იურიდიულ პირთან, უცხო ქვეყნების წარმომადგენლებთან.

ვიზუალის ეთიკის კვლევის ანგარიში უნდა წარედგინოს იმ ორგანიზაციას, სადაც ჩატარდა ვიზუალიზაციის კვლევა. გაწეული დახმარებისთვის უნდა გადაუხადოთ მადლობა. ვიზუალის პროდუქციის გამოქვეყნების დროს კატეგორიულად დაუშვებელია: მონაცემების გამოგონება; გაყალბება; პლაგიატი; გამოსახულების გადაჭარბებით შეფასება; უფრო სასურველი მონაცემების (სურათის) წარმოჩენა; სხვა ორგანიზაციების ცუდად წარმოჩენა და ვიზუალურად დაფიქსირება, დაუშვებელია ანტირეკლამა.

ვიზუალის ეთიკური კვლევის პროცესი ასევე ხასიათდება გარკვეული სირთულეებით. კვლევის დროს ორგანიზაციაში აღმოჩენილი დარღვევების, ხარვეზების ან დანაშაულის შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს მკვლევარი? მკვლევარს უნდა შეეძლოს მოცემული პრობლემების დაძლევა სხვადასხვა ხერხებით და მეთოდებით. მიდგომათა ხერხები ასევე დამახასიათებელია ვიზუალური პოლიტიკის კვლევის ეთიკისთვის. რესპოდენტის გამოსახულების ღირსების დაცვა ასევე ძალზე აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს. ასევე აუცილებლად უნდა იყოს დაცული მკვლევარის პერსონალური უსაფრთხოება. მკვლევარმა არ უნდა მოიმოქმედოს ისეთი რამ, რაც საფრთხეს შეუქმნის მას და შესაბამისად არსებული კვლევის წარმატებულად შესრულებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ენდრიუ ჰეივუდი- პოლიტიკა III გამოცემა. თბილისი 2019 წ, გვ 48-523-538
2. ჯანეტ ბუტოლფ ჯონსონი ჰ.ტ.რეინოლდსი ჯეისონ დ.მაიკოფთან ერთად - პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები. თბილისი 2013 წ, გვ 159-261-489
3. პლატონი. სახელმწიფო თბილისი 2003წ
4. არისტოტელე- დიდი ეთიკა-თბილისი. 1994 წ.
5. ჰეგელი-ლექციები ესთეტიკის შესახებ, თბილისი 2020 წელი
6. იმანუელ კანტი- ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება. თბილისი 2013წ
7. Platon. Phaidon, Das Gastmahl, Kratylos (Berarbeitet von Dietrich Kurz, Griechischer Text von Leon Robin und Louis Meridier, Deutsche Uebersetzung von Friedrich Schleiermacher, Wissenschaftliche Buchgesellschaft, Darmstadt, 1990)
8. Chou, Mark, Roland Bleiker and Nilanjana Premaratna (2016) 'Elections as theatre,' PS: Political Science & Politics.
9. Plantinga, Carl and Greg M. Smith, eds (1999) Passionate Views: Film, Cognition, and Emotion, Baltimore, MD: Johns Hopkins University Press
10. Hutchison, Emma and Roland Bleiker (2014b) 'Theorizing emotions in world politics,' International Theory.

4 სულუხია, თამარ. დასავლეთის ქვეყნების ურბანსოციოლოგია: [სახელმძღვ. სოციალ. მეცნ. მაგისტრანტებისათვის / რედ.: ლია კაჭარავა]; ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო - თბ.: მერიდიანი, 2001